საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№123-124 (6350) 13 ოქტომბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 8 ოქტომბერს მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანები ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანის გამო.

2. ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილემ ვ. ა. ივაშკომ.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ს. ძასოხოვის ინფორმაცია პარტიის XXVIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ო. ს. შენინის ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიებისა და აპარატის შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრები, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან სკკპ ცენტრალური ორგანოების შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან წარგზავნილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, მეცნიერები, პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, ზოგიერთი უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები.

გაიმართა კამათი:

შეიქმნა პლენუმის დადგენილების მოსამზადებელი სარედაქციო კომისია.

9 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

## ეს დღეები სოფლად

### ● ახლებური შრომის მადლი

ოქროს შემოდგომა უდგათ სოფლის მშრომელებს, რომლებმაც გაიცნობიერეს რა ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა, ყველაფერს აკეთებენ, რომ მიწასთან ურთიერთობით, პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებით ამრავლონ ხვავი და დოვლათი.

46 ჰექტარია უსახელოს უბნის სასიმინდე ფართობი, რასაც აქამდე იჯარით 136 ოჯახი უვლიდა. წლეულს კი პირველი შემოდგომაა, როცა საიჯარო გადასახადიდან განთავისუფლებულ სოფლის მშრომელებს მათი შრომით მოწეული მოსავალი თვითონვე მიაქვთ.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის სურვილი აქაურ მცხოვრებთა უმრავლესობამ გამოთქვა. ვიდრე ბარაქით სავსე ხვრებში ყურძნის კრეფა დაიწყებოდეს, მარცვლეულის მოსავალს, სიმინდს და ლობიოს იწევენ აქაური მშრომელები.

## წერილი „ლეჩხუმს“

# სახე იცვალა სოფელმა

სოფელი ისუნდერი თავისი მდებარეობით, ჰაერით თუ ცივი წყლებით რაიონში ერთი გამორჩეული სოფელია. იყო დრო, როცა იგი ხალხმრავლობითაც იწონებდა თავს, მაგრამ ჯერ იყო დიდი სამამულო ომის წლებმა, შემდეგ კი უგზოობამ, ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო სხვა სიძნელეებმა დაცალა სოფელი.

სოფელში შემოსასვლელ გზას ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში, სოფლის გულშემატკივართა წყალობით ეშველა, მაგრამ შიდასასოფლო გზის კეთილმოწყობაზე არავინ იზრუნა, სამწუხაროდ ის, რაც გაკეთდა, დანგრევის პირას იყო მისული, მზრუნველი არსაიდან ჩანდა.

და აი, ბოლოსდაბოლოს გამოჩნდნენ ადამიანები, სოფლის შვილები, რომლებმაც თვითონვე იკისრეს სოფლის პატრონობა, პირველ რიგში ტექნიკა დაიგულვეს. ამ ფრიად დიდ საქმეს სათავეში სულიკო კუხალაშვილი ჩაუდგა, გვერდით საკუთარი ძმა, თამაზი ამოიყენა, მძიმეწონიან მიწის სათხრელ ბულდოზერს დადაში ჩაკვეტაძე მიუჯდა და საქმეს შეუდგნენ. ხელმეორედ მოხდა გზის პროექტირება. მოგეხსენებათ, ოთხი მეტრი სიფართის გზის გაჭრამ ბევრი სიძნელე შექმნა, მოიჭრა საკარმიდამო მეურნეობაში წლობით ნაზარდი ვაზი თუ ხეხილი, მაგრამ ყოველი დიდი საქმე უმსხვერპლოდ არ კეთდება და სოფლის მცხოვრებნიც უსიტყვოდ დაუყენენ გზის მშენებელთა ნებას.

გაიჭრა ფართო სასოფლო გზა. ახლა დასასრულს უახლოვდება გზის მოხრეშვის სამუშაოები, მალე მის ასფალტირებასაც გვპირდებიან.

იყო სოფელში უბნები, სადაც სამანქანო გზა მხოლოდ ოცნებად რჩებოდა, მაგრამ მათ ოცნება სინამდვილედ გვიქციეს და ამ უბნებშიც ფართო და კეთილმოწყობილი გზა გაიყვანეს.

სახე იცვალა სოფელმა. მადლობა მათ, კვლავ მრავალი სასიკეთო საქმე ეკეთებინოთ მშობლიური სოფლის სასარგებლოდ.

**ჟ. მანდარია,**

ომისა და შრომის ვეტერანი,

სოფ. ისუნდერი.

## ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები: საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების

# საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქტომბერი 1990 წ.

**შემოხაზეთ იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:**

1. „თავისუფლება“ — საარჩევნო ბლოკი:
რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია
„დას“-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის)
ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია
მწვანეთა პარტია
ეროვნული თანხმობის ასოციაცია
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი
2. საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია
3. საქართველოს კომუნისტური პარტია
4. საქართველოს აგრარული კავშირი
5. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“—საარჩევნო ბლოკი:
ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი
მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
6. საქართველოს სახალხო პარტია
7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება
8. საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“
9. „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირი“ — საარჩევნო ბლოკი:
ეროვნული ერთიანობის პარტია
მთიელთა პოლიტიკური კავშირი
10. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
11. „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“— საარჩევნო ბლოკი:
კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
პროგრესულ-დემოკრატიული პარტია
შრომის პარტია
12. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი:
ჰელსინკის კავშირი
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი
ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირი
ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
13. საქართველოს სახალხო ფრონტი
14. „დემოკრატიული საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი:
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
რესპუბლიკური პარტია
თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
დემოკრატიული სახალხო ფრონტი
დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია

## საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების

# საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქტომბერი 1990 წ. (საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება)

**შემოხაზეთ იმ დეპუტატობის კანდიდატის რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:**

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატად (თუ წარდგენილია ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ, დაიწერება „დამოუკიდებელი“). და ა. შ.

**პირველი სახის (პარტიული) ბიულეტენი იბეჭდება ფერად ქაღალდზე. მის დამზადებას და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის მიწოდებას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.**

**მეორე სახის (დეპუტატობის კანდიდატების) ბიულეტენის დაბეჭდვას უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისია.**

**საარჩევნო ყუთის აღწერილობა: ყუთი ხისა უნდა იყოს, 85 სმ. სიმაღლის, 50X40 სიგანის, ანჯამებზე დამაგრებული, გადასახსნელი სახურავით, რომელსაც შუაზე აქვს ჭრილი ბიულეტენების ჩასაშვებად, ყუთსა და სახურავს აქვს ლითონის კაუჭები დალუქვისათვის.**

**ყოველ უბანში უნდა იყოს იმავე ფორმის მცირე ზომის გადასატანი ყუთიც.**

# საარჩევნო ბლოკის „მრგვალი პოლიტიკური და ეკონომიკური

**საქართველოს რადიკალური და დემოკრატიული ოპოზიცია 1990 წლის აპრილიდან გაერთიანდა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ ბლოკში, რომლის მიზანია მთელი ქართველი ერის გაერთიანება, მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საზოგადოებრივი დიალოგის საშუალებით კონსტრუქციული თანამშრომლობა ყველა ეროვნულ ძალასთან. სადღეისოდ მრგვალი მაგიდის წევრები არიან შემდეგი პოლიტიკური ორგანიზაციები: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მეროა კოსტავას საზოგადოება, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, აგრეთვე ინდივიდუალური წევრები.**

## პოლიტიკური ნაწილი

### ზოგადი პრინციპები

მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე საქართველო დღეს კრემლის მიერ დანიშნული ხელისუფლების 70 წლიანი დანაშაულებრივი, ანტიეროვნული პოლიტიკის გამო დგას სულიერ-ზნეობრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე, რისი უმთავრესი მიზეზიც არის 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად მისი დამოუკიდებელი სახელმწოფოებრიობის განადგურება.

სსრკ-ში გამოცხადებული ე. წ. „პერესტროიკისა“ და „დემოკრატიზაციის“ მიუხედავად გრძელდება ქართული მოსახლეობის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევა, მისი დისკრიმინაცია საკუთარ მიწა-წყალზე, საფრთხეშია საქართველოს მთლიანობა, რომელმაც 1921 წლის ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ ისედაც დაკარგა ერთა ლიგის მიერ აღიარებულ ტერიტორიათა თითქმის მესამედი. საქართველოს არ აქვს სახელმწიფო საზღვრები, არ გააჩნია მისი ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლება და სამხედრო შენაერთები, უკონტროლოდ ნიავდება ქვეყნის ხაზინა, იძარცვება ბუნებრივი რესურსები, ბარბაროსულად ნადგურდება საქართველოს ბუნება და კულტურის ძეგლები.

ყოველგვარი მატერიალური ზარალი შეუდარებელია იმ უზარმაზარ დანაკლისთან, რომელიც ქართველმა ერმა განიცადა 70 წლის განმავლობაში გენოციდისა და ტერორის გამო. ეს იყო საესებით მიზანდასახული განადგურება ერის საუკეთესო ნაწილისა 1921-1924, 1937, 1950-1951, 1956 და ბოლოს 1989 წლებში. გარდა ამისა, პრაქტიკულად ყველა პერიოდში, ყოველ წელს, ყოველ დღე მიმდინარეობდა ყოველგვარ სამართლებრივ ნორმებთან შეუთავსებელი მასიური უსამართლობა, ადამიანის შევიწროება, დაპატიმრება, დევნა და ა. შ.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს ხსნისათვის მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები ხედავენ ერთადერთ გამოსავალს: საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლით, ეროვნული პარლამენტის, ეროვნული კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შექმნის გზით.

არის მოსაზრება, რომ დღეს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფ დამონებულ ერთათვის არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ორი ძირითადი გზა: ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და არსებულ ტოტალიტარულ ხელისუფლებასთან პოლიტიკური და სამართლებრივი ბრძოლის გზით შეძლებისდაგვარად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, გარდამავალ პერიოდში ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლების არჩევა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.

უკანასკნელი პერიოდის პრაქტიკამ და გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეს ორი გზა განცალკევებულად ვერ იარსებებს და მხოლოდ მათი კომბინირებითა და გონივრული ურთიერთშერწყმით არის შესაძლებელი მიზნის მიღწევა.

ასე, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და პარლამენტური ბრძოლის გზა ერთი მთლიანი სტრატეგიის ორი მხარეა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისს და 1919 წ. 12 მარტს დამფუძნებელი კრების მიერ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი კვლავ ძალაშია, მას არ დაუკარგავს იურიდიული მნიშვნელობა და იგი დღესაც წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის იურიდიულ საფუძველს. რადგანაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, და კანონიერი გზით არ გაუქმებულა, არც რესპუბლიკის მთავრობა და არც კონსტიტუცია, ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დე იურედ დღესაც არსებობს, ხოლო მისი კონსტიტუციის მოქმედება კანონიერი მთავრობის მიერ 1921 წლიდან მხოლოდ დროებითაა შეჩერებული.

აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტური ბანაკის ქვეყნებისგან განსხვავებით, დღეს ფაქტობრივად ანექსირებულ საქართველოს არ გააჩნია არც ეროვნული და არც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ამასთან დაკავშირებით, ურთიერთისაგან უნდა გავმიჯნოთ ოკუპაციისა და ანექსიის ცნებებიც. ქვეყანა შეიძლება იყოს ოკუპირებული, მაგრამ არა ანექსირებული. თუ საქართველოში მოხდება საბჭოური სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი, იგი აღარ დაექვემდებარება ცენტრს და მოისპობა ფაქტიური ანექსიის ყველა ატრიბუტი, მარტოოდენ უცხო ქვეყნის ჯარის ყოფნა ჩვენს ტერიტორიაზე ვერ ჩაითვლება გადაულახავ დაბრკოლებად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. ასეთ ანბანურ ჭეშმარიტებათა გაუთვალისწინებლობა იწვევს პესიმისტურ, არაკომპეტენტურ მსჯელობებს საოკუპაციო ჯარის არსებობის პირობებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის შეუძლებლობის შესახებ, ან ისეთ სახელმწიფო სტრუქტურაზე იძულებით დათანხმებაზე, რომელიც კონფედერაციაზე შორს ვერ წავა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის ეროვნული ინტერესების გამომხატველმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ გადაწყვეტილებათა მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებთა და ქართული ეროვნული ტრადიციებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით გარდამავალ პერიოდში მიღებული და განხორციელებული უნდა იქნეს პოლიტიკური და სამართლებრივი აქტები.

## I. საქართველოს უზენაესი საბჭო

საქართველოს უზენაესი საბჭო უნდა იყოს მრავალპარტიული პრინციპით, საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომლის იურისდიქცია უნდა ვრცელდებოდეს დღევანდელი საქართველოს სსრ-ს მთელ ტერიტორიაზე. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო, მიუხედავად მისი არჩევის შედარებითი დემოკრატიულობისა და მრავალპარტიულობისა, მაინც იქნება საბჭოთა ხელისუფლების ორგანო, რომელიც ვერ შეძლებს იყოს ერის ნების ერთადერთი გამომხატველი და უზრუნველყოს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა. ეს მსჯელობა ჩვენ პრინციპულად მცდარად მიგვაჩნია შემდეგ მიზეზთა გამო:

ა) თვით საქართველოს სსრ დღევანდელი უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 9 მარტისა და 20 ივნისის დადგენილებებით, რსფსრ-ს მიერ 1921 წ. თებერვალში საქართველოს მიმართ განხორციელებული შეიარაღებული აგრესია, მისი ოკუპაცია, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებითი შეყვანის გზით განხორციელებული ფაქტიური ანექსია უკანონოდ გამოაცხადა. ასევე ბათილად გამოცხადდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული ყველა „იურიდიული“ დოკუმენტი. ამით საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ—უმაღლესმა საბჭოურმა საკანონმდებლო ორგანომ—ფაქტიურად უკანონოდ გამოაცხადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება;

ბ) საქართველოს ახალი უზენაესი საბჭო აირჩევა შედარებით კომპრომისული, მაგრამ მაინც დემოკრატიული კანონის საფუძველზე მრავალპარტიული პრინციპით. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა რეგისტრაცია მოხდა არა რომელიმე არსებულ საბჭოთა სახელმწიფო ორგანოში, არამედ პარიტეტული პრინციპით შექმნილ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში;

გ) საარჩევნო კანონის თანახმად, ახლად არჩეული უზენაესი საბჭო იქნება „საქართველოს უზენაესი საბჭო“ და არა „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო“, რაც ცხადია, არა მხოლოდ სახელის შეცვლაა, არამედ, სოციალისტური სისტემისა და საერთოდ, საბჭოური სტრუქტურების რღვევისაკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯია.

დ) პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო რეგისტრაციის პირობები არ ითვალისწინებდა არც საქართველოს სსრ და არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებს. საარჩევნო კანონი პოლიტიკურ პარტიათაგან ითხოვს მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვას, რაც თავისთავად ათავისუფლებს ამ კანონით არჩეულ უზენაეს საბჭოს საბჭოური კანონმდებლობის წინაშე ყოველგვარი ვალდებულებისაგან;

ე) საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით შექმნილი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს ქვეყანაში მანამდე მოქმედი ნებისმიერი კანონი. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა გათვალისწინებით, დროებით შეაჩეროს ან შეწყვიტოს არსებულ კონსტიტუციათა მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის სამართლებრივ საფუძველს, რომელიც იძლევა საბჭოური სტრუქტურების კონსტიტუციისა და კანონმდებლობის იგნორირების საშუალებას მომავალი არჩევნების დროს და შემდგომ პერიოდში. ახალმა უზენაესმა საბჭომ იურიდიულად უნდა დაკანონოს მიღწეული და გადადგას შემდგომი ნაბიჯები არსებული პოლიტიკური სისტემის სრული რეორგანიზაციის მიმართულებით, რისთვისაც საჭიროა მიღებულ იქნას შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. დეკლარაცია საქართველოს უზენაესი საბჭოს იურისდიქციის შესახებ;

2. დეკლარაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უკანონოდ ცნობისა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სსრკ-ს და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს უზენაეს საბჭოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე უდიდეს წინააღმდეგობათა გადალახვა მოუწევს. ამდენად, უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი საბჭო, როგორც გარდამავალ პერიოდში ერის ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო, უმაღლეს საკანონმდებლო ფუნქციასთან ერთად უნდა ითავსებდეს გარეშე ძალისადმი ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის განხორციელების იურიდიული ინსტიტუტის სტატუსსაც.

## 2. გარდამავალი პერიოდი

არსებული პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, დღეისათვის საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა წარმოუდგენელია მოსამზადებელი, გარდამავალი პერიოდის გარეშე. სწორედ გარდამავალ პერიოდში უნდა შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები. გარდამავალი პერიოდი იწყება მას შემდეგ, რაც ქართველი ერის, სრულიად საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში მომწიფდება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობის იდეა და მას შემდეგ, რაც აღარ იარსებებს საქართველოს სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ინკორპორაციის სამართლებრივი მექანიზმი. ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ფაქტობრივად უკვე დაწყებულია გარდამავალი პერიოდი, რომლის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღოს და განახორციელოს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. დეკლარაცია საქართველოს სსრ—სახელწოდების, სახელმწიფო სტრუქტურის, სიმბოლიკის შეცვლისა და გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ;

2. დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის დროებით შეჩერებული კონსტიტუციის საფუძველზე გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონის შემუშავების შესახებ;

3. დადგენილება 1921 წლის 16 თებერვლის შემდეგ საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ.

## 3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი დაცვა

1921 წლის ანექსიის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე უკანონოდ შეიქმნა ავტონომიები. გარდა ტერიტორიული დანაკარგებისა, საქართველომ უდიდესი დანაკლისი განიცადა მისი წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების უმოწყალო ექსპლოატაციის შედეგად. საქართველოდან გაზიდულ იქნა

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!...

# ვაზიანი

გაზეთ „ლეჩხუმის“ ალტერნატიული ჩანართი

№6 შაბათი მორიგისა **13** ოქტომბერი 1990 წ. ღვინოგისთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიკვდილამდე ორიოდ დღით ადრე უთქვამს: რაღაც დიდი უბედურება დაატყდებაო საქართველოს. ცუდად ენიშნა თურმე ერთი რამ.. 13 ოქტომბერს ქუთაისიდან ბრუნდებოდა. სოფელ ბორითთან დაუგო მახე ბედისწერამ თუ ავკაცობამ. და ეს სახელი სამუდამოდ დარჩება ერის მეხსიერებაში ისევე, როგორც წიწამური.**

## უფალს შეავედრე საქართველო

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. თვეები გავიდა, წელიწადი მიიწურა, ჩვენ კი ვერასგზით შევაჩვიეთ თავი უმისობას. კვლავ ცრემლთა მდუღარეებას იწვევს მერაბ კოსტავას სახელის ხსენება, მის სულთან ოდნავი შეხებაც კი. ჯერ ვერ გამრთელდა ქართველობის დაჭრილი გული. და ზეობს ისევ სინანული: ვერ მოვუარეთ. არადა, როგორ გვჭირდებოდა.

იგი უცებ შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს სულებში. უცებ შემოიჭრა და უცებვე წავიდა ჩვენგან. მოვიდა მაშინ, როცა საქართველოს აღარ ჰყავდა ზნეობრივი გმირი, როცა ქართული სულის ნამტვრევებიღა კიაფობდა ალაგ-ალაგ, რწმენადაშრეტილი, ზნენაქცევი ქართველობა ნელა იძირებოდა გომბეშოსფერ ჭაობში. მოვიდა და თვითონ გვექცა ზნეობრივ გმირად. მანამ კი რა ვიცოდით? „კომუნიზმის ვარსკვლავების“ ბრწყინვით დაბრმავებულებს სანდოდ გვეჩვენებოდა საბჭოური პროპაგანდის გამუდმებული ჩიჩინი: გამსახურდია—მტერია, კოსტავა—მოღალატე. ჰო, ბრმად ვენდობოდით „სარეველას“ მსგავს „პუბლიკაციებს“, კვერს ვუკრავდით ძლიერთა ამა ქვეყნისათა მრავალჯერ ნათქვამს: კოსტავა — მტერია, გამსახურდია—მოღალატე.

საკუთარ ეზო-ყურეს შეფარებულნი, საბან-გობანზე და კუჭის საზრდოზე მზრუნველნი კილვაკიცხვას არ ვაკლებდით ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ დაერღვიათ ჩვენი ცხოვრების ამგვარი წესი. თუმცა ცოტათი კი ვხვდებოდით, რომ მოლად ისე არ იყო საქმე, როგორც კომუნისტური პროპაგანდა გაჰკიოდა, მაგრამ ჭეშმარიტება ძნელი მისაგნები გახლდათ, მისკენ მიმავალი გზები კი საიმედოდ გადაკეტილი. ცოტამ თუ იცოდა და ისიც დუმდა. სამაგიეროდ, ვინც არ იცოდა, ის ლაპარაკობდა და კიდევ ის, ვისაც ასე ლაპარაკი ევალებოდა.

მერე ჩვენ უცებ აღმოვაჩინეთ, რომ თავისუფალი და ბედნიერი კი არა, დაპყრობილი და დამონებული ერი ვყოფილვართ. ის, ვინც ძმობას გვეფიცება, პირსისხლიანი მტერია მხოლოდ. და აქ ჩვენს ცნობიერებაში გაკრთა პოსტულატი—ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია. მაშასადამე, გამსახურდია ქართველთა მტერი არ არის, კოსტავას სამშობლო არ გაუყიდია. აი, ასე აღმოგვაჩენინა ამ ორმა ქართველმა ხელახლა საქართველო და თავიანთი თავი.

მერაბ კოსტავამ ამქვეყნიური ჯოჯოხეთის ცხრავე სფერო გაიარა. ჯერ კიდევ ბავშვის სულს ღრმად დააჩნდა სამშობლოს უბედობის განცდა, ყმაწვილმა ხეხა ციხის აშმორებული საკნის კედლები, გამოსცადა სუკის მზაკვრობა და დაუნდობლობა. ციხესა და გადასახლებაში მყოფს მოძმის ღალატში არწმუნებდნენ, უმტკიცებდნენ... გაუძლო. მრავალგზის დაუგეს მახე, მათი ჩანაფიქრით, ქართული ცა ვეღარ უნდა ეხილა მის ფიქრადქცეულ თვალებს. გაუძლო. სამაგიეროდ, შვილმა ვერ გაუძლო. ჭაბუკის სულმა ვერ იტვირთა ვერაგობა და უზნეობა, თავი მოიკლა (თუ მოაკვლევინეს!). ერთადერთი ვაჟის სიკვდილსაც გაუძლო მერაბმა, საქართველოზე ფიქრი აძლებინებდა. მცირე ხნით ალბათ ბედნიერიც კი იყო, როცა თავის ერს ასე გამოღვიძებულსა და ერთ მუშტად შეკრულს ხედავდა. მხოლოდ მცირე ხნით... მერე იმასაც ამბობდა თურმე: ნეტავ ციხიდან სულ არ გამოვსულიყავი, ამდენი გაუტანლობა და მზაკვრობა არ მენახაო. უჭირდა, ძალიან უჭირდა უზნეობასთან შეგუება. მას უყვარდა საქართველოს თავისუფლებისათვის აბორგებული ეროვნული მოძრაობა და არასოდეს ყვარებია საკუთარი თავი ამ მოძრაობაში. ასეც მოძღვრავდა მისით აღტაცებულ ახალგაზრდობას: გიყვარდეთ ეროვნული მოძრაობა და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაშიო. მკერდსაც პირველი უშვერდა ყველა დარტყმას, სხვისთვის განკუთვნილს.

რომ შესძლებოდა, მთელ საქართველოს აეფარებოდა.

სიტყვა უძლურია მერაბ კოსტავას პიროვნების დასახასიათებლად, ყველა ეპითეტი ხუნდება მისი სულის გამონაშუქთან. ხორცშესხმული სინდის-ნამუსი და პატიოსნება, უზენაესი კეთილშობილება, შეუვალი სიმტკიცე და უკომპრომისობა, სილბო გულისა, სიქველე და გულმოწყალება, მოყვასისათვის რაინდული თავგანწირვა. ვინ იყო იგი? შეიძლება კი მოკვდავი კაცი, ასე შემკული სულით და ხორცით? იქნებ ახალი ქრისტეა იგი, ჯვარზე ვნებული?

ყველას თავისი წილი ბრძოლა აქვს გადასატანი. მერაბ კოსტავამ ჩვენი საომარი იომა, და ამ ომში არ დამარცხებულა, ბოლომდე ღირსეულად, შეუხრელად ატარა თავისუფლების დროშა და პირნათელი წარუდგა უფალს.

ბატონო მერაბ! შეავედრე უფალს შენი საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრი, ოდესღაც მტკიცე, დღეს კი განთვითოებული, გახელებული, მტრიანი საქართველო. ასე არასდროს გაჭირვებია, მერაბ, ჩვენს უბედურ ქვეყანას. შენი გული, მტკიცე ხელი დააკლდა ეროვნულ მოძრაობას, მერაბ! შეავედრე ჩვენი თავი უფალს, მერაბ, ბატონო!

დღეს შესრულდა ერთი წელი

მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან

## ზვარავი

**დაფეთებული** გარბის დრო და მუშტისოდენა თვალებს აბრიალებს. ერთი ცრემლიანი წელიწადი უკვე გასულა უთქვენოდ.. თავისუფლება ისე არ მოდის, ბედისწერამ უკვე მერამდენედ შეგვაყენა მეწამულ ბილიკზე. მერამდენედ გაშალა ფრთები სიცვდილმა სამშობლოს ცაზე... „...სიზმრად ვნახე თეთრი გედი, ნეტავ, დედა, რაო?.. ...ვითომ ყვავილები წვიმდა ნეტავ, დედა, რაო? —საქართველო ატირდება ვაჰ, შენს დედასაო!“

ატირდა და მერე როგორ! ცრემლს ვერ იშრობს გულში დაჭრილი მამული... ბ-ნო მერაბ! თქვენ ახლა უკვდავების მკვიდრი ხართ, ერის სინდისი ხართ, „თეთრი ბატონი“ ხართ, სული წმიდა ხართ, წმიდა გიორგი ხართ... ქართველი კაცის ნათელი ხართ, რწმენა და იმედი ხართ...

თქვენ ცის სილურჯეში აღმართული მწვერვალი ხართ, საიდანაც შეიძლება შეავლო თვალი ქართველ ერს, შეიგრძნო და დაინახო სიდიადე, დაუსრულებელი, უსაზღვრო მშვენიერება.

თქვენ წასულს ვერ დაგარქმევთ, რადგან ყოველთვის საქართველოსთან იყავით ფიზიკურად თუ ფიქრით. თქვენზე ვის უნდა მოუტრიალდეს ენა, როცა ყველას დარდით და ტკივილით იცხოვრეთ...

გაუკვალავი გზებით იარეთ... მოჭარბებული ეროვნული გრძნობა ანუ შეცნობა ქართველობისა, გინათებდათ გზას ყოველგვარ რთულ სიტუაციაში...

ჯერ პერმის საკონცენტრაციო ბანაკი 389 37.

მერე გადასახლება. შემდეგ იწევ ციხეები, ბანაკები...

ერის გამოღვიძება... 9 აპრილი!

იმ ცხრა აპრილის შემდეგ არ გიძინიათ, მაგრამ არც კომპარტიის რეჟიმის თავკაცებს ეძინათ. მათთვის საჭირო იყო საქართველოს დაქუცმაცება... რაღას არ მოესწარით...

თქვენ იყავით ბნელი ძალების მთავარი სამიზნე, მაგრამ (სულიერად) უვნებელი გამოხვედით ბოროტების ისართა წვიმიდან... რამდენი სატანჯველი გამოიარეთ, მაგრამ არ იმჩნევდით. ერს, რომელსაც თქვენი თავი სჭირდებოდა, არ უჩვენებდით ჭირ-ვარამს... „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!“

სატანჯველად კი თქვენი ირაკლიც გეყოფოდათ...

ცოტნე დადიანის სული გედგათ თურმე. არ გაშინებდათ არავითარი დაბრკოლება... „გზას გაუდგება ლეგა ცხენზე ამხედრებული, არ შეაშინებს დაბრკოლება გზად ხვედრებული“— წერდა ირაკლი, თქვენი სულისა და ხორცის ნაწილი.

ნობელის პრემიაზე იყოო წარდგენილი...

არ ვიცოდით!

ბ-ნო მერაბ! ავთანდილობა მძიმე ტვირთია და სხვამ, თქვენს გარდა ვერვინ იტვირთა... თქვენ მოძმეთა შორის ჩაგდებული ხმალი იყავით, წმინდა და შეუბილწავი. „შემაძლებინე, მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო, ტრფიალი მისი არ განმიქარვო“—ღმერთს ასე სთხოვდით. როგორ სჭირდებით დღეს საქართველოს, როცა ასე ძალიან გახშირდა შური და მტრობა, გაუტანლობა..

ბოლოს შემოვინახე გულში ნასათუთევი, ნალოლიავები სათქმელი: საწუთრო უცნაური იდუმალებით აკავშირებს დროსა და სივრცეში დაშორიშორებულ თარიღებს. ასტროლოგია ამაში ღრმა სიმბოლიკას ხედავს.

26 მაისი—საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე.

26 მაისი—მერაბ კოსტავას დაბადების დღე მოწამისა, ღმერთმა კაცთა მოდგმის სიძლიერე მასზე რომ გამოსცადა.

ღმერთმა თქვენ აგირჩიათ, ბ-ნო მერაბ ზვარაკად, ზვარაკად ღვთისმშობლის წილი მიწიდან. დაბადების დღეც ღმერთმა ივალა. თქვენი სული ისეთი წმინდა საკანია, თვით სატანასაც შეაკრთობს და შეაშფოთებს იქ გამეფებული სულიერი სიწმინდე.

და ერთი წლის შემდეგ... დუმილით პატივი ვცეთ მის ხსოვნას. მეთქი ვერ ვიტყვი, რამეთუ მგონია დუმილს გამოსაფხიზლებლად ქარის ამოქროლვა მოჰყვება და ეს კი ბატონი მერაბის სული იქნება უთუოდ. ამიტომ ყველა ერთიანობის გამოხატვის სურვილით შევეხმიანოთ მერაბ კოსტავას ღმერთთან დავანებულ სულს ზეცაში სიმღერით „შავლეგო“.

ღმერთმა ინებოს, ბ-ნო მერაბ, და თქვენი და თქვენი მეგობრების მიერ გამოღვიძებულ ერს უცრემლოდ გაევლოს ტაძრამდის დარჩენილი გზა-სავალი!

ღმერთმა ინებოს, ქართველებს მოგვცემოდეს ძალი ურთიერთდანდობისა.. სიყვარულისა და თანადგომისა!

ღმერთმა ინებოს, გაგვმარჯვებოდეს!

**დ. ჩოგოლიანი.**

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის ანგარიშზე.**

## ჯკივილიანი ქართული სული

### ( ჩანახატი )

ილეფებოდნენ საუკუნენი... სიბნელეში ჩაძირულიყო გრძელი საკანი, გამქრალიყო იმედის სხივი უკანასკნელი, ისევ გმინავდა ივერია, ისევ მოისმოდა ჯაჭვის ჩხრიალი; ხელფეხშებორკილი მონები სიმწრით ეხლეობოდნენ კედლებს საკნისას.

„არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა“.

—ჭეშმარიტადო!— გმინავდნენ უმწეო მონები, და მაინც დუმდნენ.

იზრდებოდა ქართველი ჭაბუკი, ბოღმით თანდათან ევსებოდა კეთილი გული. იბოღმებოდა შავჩოხიანი ეშმაკის სულიან ქამელეონზე, ქართველურ გულში გროვდებოდა ტანჯვა და ურვა, ტკივილი და... იმედი, იმედი მომავლისა.

ერთ დღესაც გულმა ვერ დაიტია ამხელა სათქმელი, ვერ დაიტია ამდენი დამცირება, ამდენი ჩაწიხლვა, და ითქვა სიტყვა ტაბუდადებული...

განრისხდა ეშმა.

შავჩოხიანი გოლგოთას შეუდგა, მიდიოდა დათან მიჰქონდა ჯვარი მისი, კურთხეული და ხელთუქმნელი.

„გაიღვიძეთო!“ —ბორგავდა გული, „გრძნობების გრდემლი“.

იტანჯებოდა შავჩოხიანი.

ქართული სისხლი ხმაურობდა ცისფერ ძარღვებში.

...მერე მრავალმა წყალმა ჩაიარა:

მწარედ ატირდნენ ჭადრის ხეები რუსთაველზე...

ძმათა სისხლით შეიღება მდინარე ფსოუ...

ბორგავდა შავჩოხიანი, ძმათა გულგრილობა აწამებდა სიმართლის მძებნელს. მავნე ელემენტი, დისიდენტი, ექსტრემისტი,—შიგ გულში სჭრიდნენ სამართებელივით ალესილი სიტყვები.

ცხადი იყო თუ ღამის მირაჟი: თეთრი ბედაური შედგა მის წინ ფაფარაყრილი, „მომსახურეო“, — უხმოდ შესთხოვა. უზანგი ჩაიღუნა ვაჟკაცის სიმძიმისაგან, აღვირი მიუშვა და გაიჭრა ისარივით.

„მე უნდა გავუღოო განთიადს კარი,—მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი,—მე უნდა ვიხსნაო ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტან-დარეჯანი“...

და უცებ „ვაი ეგეთას სამართალს, მერაბ“. !

...ტყვიასავით გავარდა მწარე სიმართლე:

მეორედ აღესრულაო ქრისტე:

საქართველოს სიყვარულმა წააქციაო ამხელა კაცი;

სული კი, ვეებერთელა ტკივილის დამტევი, სანთლებად აღიმართაო ცისკენ...

**ნანა აკოგბიძე,**

**ზუბის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.**

# ახალი იულიუს კეისარი?

საარჩევნო ბატალიები მიმდინარეობს დღეს საქართველოში. ლეჩხუმიც ჩართულია ამ ფერხულში. მე მჯერა, რომ ხალხი ბრძენია და სწორ არჩევანს გააკეთებს.

ვინ გახდება რჩეული, ვის ვანდობთ ერის ნდობის მანდატს? ერთი კი ნათელია, ყველას არა აქვს მორალური უფლება იყოს წევრი საქართველოს პარლამენტისა. იმ პარლამენტის, რომელმაც უნდა შესძლოს საქართველოს მოუპოვოს თავისუფლება, აღადგინოს სახელმწიფოებრიობა.

ვაღიარეთ, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა დაიპყრო საქართველო და ჯიჯგნის 70 წელია. ახლა, როდესაც ამ რეჟიმმა კრახი განიცადა მსოფლიო მასშტაბით, ქართველთა არჩევანიც ამ სულისკვეთების უნდა იყოს.

მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სწორედ კომუნისტური პარტიის სიით იყრის კენჭს ლეჩხუმის შვილი ბატონი ემზარ გუგავა. ნუთუ ბატონი ემზარისთვის არ არის ცნობილი, რომ ქართველი ერი დაკნინა და გაუბედურა კომუნისტურმა მმართველობამ, რომ თუ კომუნისტებს შეეძლოთ ქვეყნის მართვა მათ ხომ 70 წლის განმავლობაში ეპყრათ ხელისუფლება, მაგრამ, მიუხედავად მრავალი ექსპერიმენტისა, ხალხს სიღატაკის გარდა ვერაფერი მოუტანეს. ამაში დიდი წვლილი თვით ბატონ ემზარისაც მიუძღვის, რომელიც წლების განმავლობაში მმართველ ელიტაშია. იგი ახლა მედგრად იბრძვის დეპუტატობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მას თანამდებობები არ აკლია: არის საქართველოს კპ ცაგერის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ის ასევე აპირებს ცაგერის რაიონში აგროფირმის შექმნას და აქვს პრეტენზია გახდეს მისი პრეზიდენტი. ახლა კი დეპუტატობაც მოინდომა. მე მგონი, თვით იულიუს კეისარიც კი ვერ გაართმევდა თავს ამდენ ფუნქციას, მითუმეტეს, რომ მომავალი პარლამენტი იქნება მუდმივმოქმედი და დეპუტატებმა პარლამენტში უნდა იმუშაონ. მაშ, როგორ აპირებს ბატონი ემზარი თბილისიდან ცაგერში, თვვი გაართვას დანარჩენ სამ თანამდებობას?

მკითხველს—კარგად მეგონა, რომ ბატონი ემზარი 25 მარტის არჩევნებშიც იყრიდა კენჭს და მაშინ ლეჩხუმელებს ძალიან ბევრს დაპირდა, თვით თვითმფრინავსაც კი, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი შეასრულა. ახლა კი ამომრჩევლებს მფრინავ ხალიჩებსაც დაპირდება, ოღონდაც დეპუტატის სავარძელში მოკალათდეს.

**მიტროფანე სტურუა.**

---

—ბაუმარჯიოს გიორგი და ბაგრატ ლეშკაშელებს—ქვის წარწერის თავზე სასმისები ამოუკვეთავს ოსტატს. კარიბჭის მეორე სვეტი სახლის აშენების თარიღსა და ამ კარმიდამოს პატრონთა ვინაობას გვაცნობს.

ვერ გაუმარჯვდათ ბაგრატ და გიორგი ლეშკაშელებს. ოდესღაც ამ დიდებულ სახლ-კარს მოუვლელობისა და სიძველის სენი ღრღნის, არადა, ქვის ძველებური ჭიშკარი მის უწინდელ პატრონთა თავმოწონებასა და სოფელში გამორჩეულობას მეტყველებს. აფსუს, ლეშკაშელების წელმაგარი ოჯახი!

ვერ ვიტყვი, დიასახლისი თავაზიანად შემოგვეგება-თქო. მოქურუხებული მზერა შეგვავლო დაუპატიჟებელ სტუმრებს. იქვე, ჭიშკართან დაპირა პასუხის გაცემა, ჩვენ კი ვარჩიეთ უფრო ახლოს შევხებოდით იმ გარემოს, რომელმაც, სამწუხაროდ, ბოროტი ნაყოფი გამოიღო. საათნახევარი ვესაუბრებოდით ბაგრატ ლეშკაშელის ნაამაგარ ეზოში მის ქალიშვილს, ნაზი ლეშკაშელს და საათნახევრის განმავლობაში ვცდილობდით აგვეხსნა, ვინ ჩააგდო ამ ოჯახში ბოროტების თესლი...

„სოფლის თვალსაზრისი: სპათაგორში ქონებით გამორჩეული ოჯახი ჰქონდათ ძმებს გიორგი და ბაგრატ ლეშკაშელებს. ერთად ცხოვრობდნენ, გაუყოფლად. ბაგრატი ოჯახიდან სულ წასული იყო, ვაჭრობდა, გიორგი კი—ოჯახში იყო, მიწის მუშაკაცი, მეუღლე ადრე გარდაეცვალა, უშვილო იყო, მერე აღარ იქორწინა, ჩემი ძმის ბაგრატის ოთხ შვილს ქონებაზე შემცილებელს ვერ მოვუყვანო. ახლა კი ამ ქონებისათვის დედმამიშვილები სამკვდროსასიცოცხლოდ დაერივნენ ერთმანეთს...“

„სოფლის ცხოვრება“
1987 წლის 10 მარტი.

* * *

**„ცხოვრება ასე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ შეიძლება მხოლოდ განაჩენით, რომელიც ამასთან საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.**

**ფსიქიატრიული საავადმყოფოს ავადმყოფის აზრი.**

ეს ეპიგრაფი ბატონ კიტა ბუაჩიძის „შავი წიგნიდან“ ვისესხე მხოლოდ იმიტომ, რომ საოცრად ზუსტად ასახავს ჩვენი ცხოვრების უკულმართობას. განა ამაზე ზუსტად იტყოდა ვინმე და ეს გიჟის ნათქვამია!.. ფფერუმ, საბჭოელო გიჟებო... დარეჯან ლეშკაშელის ცხოვრებაც ისე წარიმართა, არა და არ დაექვემდებარა გასაჩივრებას...

ბაგრატ ლეშკაშელმა შვილებზე დარდი და უზომო წუხილი წაიღო სამარეში. გვარის გამგრძელებელი, ანდრო საერთოდ არ იხედებოდა სოფლისკენ. უფროსი ქალიშვილი, თინიკო, რომლის ქებაშიც ერთსულოვანი არიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული დები ლეშკაშელები, ადრე გარდაიცვალა და მცირეწლოვანი გოგონა დარჩა აღსაზრდელად, დარეჯანი თავად გააგდო სახლიდან „ნაზიკოს ავი ენების გამო“. დიახ, გასახარელი არაფერი ჰქონდა ცალი ფეხით სამარეში მდგარ მოხუცს, არც ანდერძის დაწერა მოსვლია აზრად და იმქვეყნად წასულმა უფრო მეტი სადავიდარაბო დაუტოვა შვილებს. მას აქეთ სამწუხაროდ ცნობილი გახდნენ ლეშკაშელთა ძველი გვარის ეს წარმომადგენლები. 1987 წლის 10 მარტს გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ მთელ რესპუბლიკას „გააცნო“ დები ლეშკაშელების იგავმიუწვდომელი დავის (თუ ამას დავა ჰქვია) ამბავი. მარგო დიაკონიძის კორესპონდენციაში „ანარეკლი“ დაწვრილებითი იყო აღწერილი ეს შემთხვევა, ამიტომ მკითხველს არ გადავღლით ამ ამბის ყველა პერიპეტიის აღწერით, სულ რამდენიმე მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ამონაწერი დარეჯან ლეშკაშელისათვის ცაგერის რაიონის პროკურორის დ. სილაგაძის მიერ გაგზავნილი წერილიდან (21. 07. 90):

„1985 წლის ოქტომბრის თვეში შ. ს. ცაგერის რაიგანყოფილების ხელმძღვანელებს განცხადებით მიმართა თქვენმა დამ ნაზი ლეშკაშელმა, რომ თქვენ ემუქრებით მოკვლით, აღნიშნულის საფუძველზე 1985 წლის 11 ნოემბერს თქვენ გადაგიყვანეს თერჯოლის რაიონის წინწკილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

თქვენი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა მოხდა ყალბი დოკუმენტით, მიმართვით, რაზედაც მთავარი ექიმის ნაცვლად ხელი მოაწერა შს რაიგანყოფილების თანამშრომელმა ს. ჩარკვიანმა.

ჩადენილი სიყალბისათვის ს. ჩარკვიანი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და 1986 წლის 6 აგვისტოს მის მიმართ რაიონის ყოფილი პროკურორის ნ. ჩხვიმიანის მიერ გამოტანილია დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა და ს. ჩარკვიანის თავდებქვეშ შრომით კოლექტივზე გადაცემის შესახებ. ასევე, როგორც სკკ წევრს, გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ადმინისტრაციულად დაისაჯნენ რაიგანყოფილების უფროსი და მოადგილე“.

მაშ, ასე, დარეჯან ლეშკაშელს სიგიჟე დასწამეს, მილიციაში შეადგინეს ყალბი ცნობა (ასე გვიცავდა საბჭოთა მილიცია!), ბოროტმოქმედივით ძალით შეაგდეს მანქანაში და თავი წინწკილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოაყოფინეს, და რომ არა სპათაგორელთა თანადგომა და სოფლის მშრომელთა კრების შუამდგომლობა, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ამ იძულებით სტუმარს. დღეს ხომ აღარავისთვისაა უცნობი ის შემზარავი ფაქტები, ათეულწლობით რომ ხდებოდა ამ ტიპის საბჭოთა „სამკურნალო“ დაწესებულებებში. როგორც იტყვიან, იქ შესული (განსაკუთრებით პოლიტიკური სარჩულით) ბევრი უნახავთ, გამოსული კი... დაფიქრდი, მკითხველო, თუნდაც მცირე საფუძველიც რომ ჰქონოდათ ფსიქიატრებს, განა დარეჯან ლეშკაშელი ასე ადვილად დააღწევდა მათ თავს? სოფლის თანადგომამ კი იგი 25 დღეში იხსნა გარდაუვალი გაგიჟებისაგან.

„ტყვეობისაგან“ თავდახსნილმა დარეჯან ლეშკაშელმა, რომ იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა და სამართლის ძებნაში ქვეყანა შემოიარა. რესპუბლიკურმა ორგანოებმა ყურად არ იღეს მისი განცხადება. სკკ XXVII ყრილობის დღეებში მოსკოვში ჩავიდა და წერილები გაუგზავნა მ. გორბაჩოვს, ყრილობას. მოსკოვიდან რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ში გამოგზავნილი განცხადება საქართველოს პროკურატურას გადაეცა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრა ყინული.

სოსო ჩარკვიანის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ რაიონის მაშინდელმა პროკურორმა ჩხვიმიანმა უარი თქვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე—დამნაშავეს საკადრისი მიეზღო. თითქოს ასეცაა. მსგავსი ქმედება კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლით—„სამსახურებრივი სიყალბე“:

სამსახურებრივი სიყალბე ე. ი. თანამდებობის პირის მიერ... შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენა ან გაცემა... ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით.

ს. ჩარკვიანი თანამდებობიდან დაითხოვეს, ე. ი. კანონით კუთვნილი სასჯელი მიიღო, მაგრამ გაგიგია, მკითხველო, ვთქვათ, 100 მანეთის (გინდაც მილიონის) მომპარავისა და ადამიანის ბედის სასწორზე შემგდები კაცის ერთი ჯოხით გარეკვა? (ალბათ ამას თუ გულისხმობს საბჭოთა კანონების „ჰუმანიზმი“).

მაგრამ მთავარი სხვაა. ხომ არ გამოიყვანეს ს. ჩარკვიანი განტევების ვაცის როლში? როგორ გაბედა მან უშუალო უფროსების გარეშე ასეთი ნაბიჯის გადადგმა? ანდა საიდან ჩაუვარდა ხელთ რაისაავადმყოფოს ბეჭდითა და შტამპით დამოწმებული ბლანკი? ხომ ცნობილია, რომ მხოლოდ ხელმოწერა საბუთი არ არის და ვერც ფსიქიატრიული საავადმყოფო მიიჩნევდა ამად. ამასთან არსებობს ქუთაისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ცნობა დარეჯან ლეშკაშელის აღრიცხვაზე ყოფნის შესახებ (1979 წლიდან), რომლის საფუძველზეც (?) თითქოსდა მოხდა მისი გადაყვანა წინწკილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. დარეჯან ლეშკაშელი კი კატეგორიულად უარყოფს ასეთ ფაქტს. შეამოწმა ვინმემ ამ ცნობის საფუძვლიანობა?

დიახ, პროკურორ ჩხვიმიანს ჰქონდა საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა, რათა დადგენილიყო სხვა პირთა ბრალეულობაც. მაგრამ ასე არ მოხდა. რატომ? ამის ამხსნელი არავინ არის, განცხადებების პასუხად კი დარეჯან ლეშკაშელს გაუთავებლად სთავაზობენ ფაქტის კონსტანტაციას, რაც მისთვისაც ცხადია. მისი საქმე არასგზით არ დაექვემდებარა გასაჩივრებას...

* * *

**ხოლო მოყვასსა და ძმასა შენსა მიუტევო ყოველი თანამდები**

**სჯულის წიგნი**

დარეჯან ლეშკაშელმა მიაღწია მემკვიდრეობის დამტკიცებას. ნოტარიუსის გადაწყვეტილებით ბაგრატ ლეშკაშელის ქონება თანაბრად გაიყო ოთხ წილად. მეოთხე ნაწილი გარდაცვლილი დის, თინათინის ქალიშვილს, ელისოს მიეკუთვნა, თუმცა იგი პრეტენზიას არ აცხადებს მემკვიდრეობაზე. დარეჯანს ერთი ოთახი მისცეს პირველ სართულზე. იქაც ვერ გაჩერდა. ორივე და დაეინებით იმეორებს, რომ მათი ერთად ცხოვრება არ შეიძლება. ნაზი ლეშკაშელმა თავიდან კი ბრძანა: მოვიდეს, ვინ უშლის მაგ შარახვეტიასო (?), მერე გადათქვა, არა, ჩვენი ერთად ცხოვრება არ შეიძლებაო. ჩვენი სტუმრობის დასასრულს კი ისიც განაცხადა: ჯერ ჩემი 2500 მანეთი მომიტანოს და სახლში მერე შემოვუშვებო. ამ განცხადებამ გააშიშვლა ჩვენთვის ისედაც ცხადი მიზეზი დებს შორის გაუთავებელი დავისა: ფულის სიყვარული. დარეჯან ლეშკაშელი აცხადებს, რომ დის (თავად იგი აღარ თვლის ნაზი ლეშკაშელს დად) ვალი არ მართებს და რომ მისი კუთვნილი კოოპერატიული ბინა ქუთაისში „ნემსის წვერებზე“ დაჩხვლეტილი თითებით აქვთ შეძენილი და არა ნაზის დახმარებით, მაგრამ განა არსებითია, აქვს თუ არა დას დის ვალი? მთავარი ისაა, რომ მათი დედმამიშვილობა სულ რაღაც 2500 მანეთზე დადგა (ასე იტყვიან ლეჩხუმში). მათთვის უცხო აღმოჩნდა სჯულის წიგნის შეგონება: მოყვასსა და ძმასა შენსა მიუტევე ყოველი თანამდები.

გულუბრყვილობაა იფიქრო რომელიმე მხარის გამართლებაზე. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო: როცა დაგვაინტერესა დების ოჯახურმა მდგომარეობამ, დარეჯან ლეშკაშელს ცრემლი მოეძალა თვალზე. მეც მაგას ვტირი, შვილო, რომ ორ გაუთხოვარ დას ერთმანეთისთვის უნდა მოგვეკლა ამ სიბერეში, ასეთი საშინელება კი დაგვატყდა თავს, ქვეყანაზე თავი მოგვეჭრაო. მე არ ვიცი ამ ცრემლების ფასი, მაგრამ 2500 მანეთზე მეტი კი უნდა ღირდეს.

ლეშკაშელების საქმე უწინდებურადაა გაყინული. ადმინისტრაციული, სამართალდამცველი ორგანოები, სოფლსაბჭო არ ერევიან დების დავაში. არადა, შეიძლება უბედურება დატრიალდეს. ბოლოს და ბოლოს, ყველას თავისი კუთვნილი მიეგოს.

**ია ხმელიძე.**

# დამსხვრეული სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საგიდა — თავისუფალი საქართველო“ პლატფორმის ძირითადი მიმართულებანი

შილიონობით ტონა მარგანეცი, ფერადი ლითონი, მარმარილო და ა. შ. ყოველივე ამან, არა მარტო აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ბუნებას, არამედ საქართველომ უზარმაზარი ფინანსური ზარალიც განიცადა. ყოველივე ეს გამოწვეული იყო საქართველოს ტერიტორიის ფაქტიური დაუცველობითა და სახელმწიფო საზღვრების მხოლოდ რუქებზე არსებობით.

ეჭვგარეშეა, რომ ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ტერიტორიის, მისი ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაციისა და საიმედო დაცვის საკითხი. ზუსტად უნდა იქნას დადგენილი სახელმწიფო საზღვრები, შეიქმნას სპეციალური კომისია სადავო ტერიტორიების საკითხის განსახილველად და უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. „დადგენილება საქართველოს მიწის, საჰაერო სივრცის, წყლის რესურსების, კონტინენტალური შელფისა და წიაღისეულის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადების შესახებ“;

2. „კანონი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შესახებ“;

3. „კანონი საბაჟო სამსახურის შესახებ“;

4. „კანონი სატრანზიტო გადაზიდვების შესახებ“;

5. „კანონი ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ“;

6. „დადგენილება საქართველოში საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალის სტატუსის მინიჭების შესახებ“;

7. „კანონი ეროვნული უშიშროების სამსახურის შესახებ“.

აუცილებლად მიგვაჩნია, ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება რსფსრ-ს უმაღლეს საბჭოსთან რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევისა და 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის აღიარების შესახებ. პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს მოლაპარაკება სსრკ-ს და სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს ანექსირებულ სახელმწიფოდ ცნობის შესახებ.

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, მისი კონსტიტუცია 1921 წლის 16 მარტს კანონიერი მთავრობის მიერ მხოლოდ დროებით იქნა შეჩერებული, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და არ არსებობს საქართველოს სსრკ-ს შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი. გარდამავალ პერიოდში საქართველოს ჩვენ განვიხილავთ როგორც ანექსირებულ სახელმწიფოს, რომელმაც უნდა აღადგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ უნდა იზრუნოს, რათა სხვადასხვა ქვეყნებში აღდგეს და გაიხსნას საქართველოს წარმომადგენლობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს საერთაშორისო კავშირურთიერთობებს და მისი სახელმწიფოებრიობის იურიდიული სტატუსის დამკვიდრებას. ეს წარმომადგენლობები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ უზრუნველყოფენ ამ ქვეყნებთან საქართველოს საგარეო დიპლომატიურ ურთიერთობებს.

### 4. ადამიანის უფლებათა დაცვა და მოქალაქეობრივი შემწყნარებლობა

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ნაციონალური შემწყნარებლობა. საქართველოში საუკუნეების მანძილზე ყოველგვარი ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, გახსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები.

ახალარჩეული უზენაესი საბჭო, როგორც ქართველი ერის ნების გამომხატველი ორგანო, მოქმედებისას, ბუნებრივია, იხელმძღვანელებს ამ ძირძველი ტრადიციებით, შექმნის რა სამართლებრივ საფუძვლებს კომუნისტური ტოტალიტარიზმის პერიოდში უაღრესად გამწვავებული პოლიტიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ ურთიერთობათა მოსაგვარებლად. გარდამავალი პერიოდის საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაზე, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებათა დასკვნით აქტებზე დაყრდნობით უნდა გატარდეს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებანი პოლიტიკური, რელიგიური და მოქალაქეობრივი შემწყნარებლობისა და მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის დასამკვიდრებლად.

გარდამავალი პერიოდის საქართველოში გარანტირებული უნდა იქნეს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი საკანონმდებლო აქტების მიღება და გატარება:

1. კანონი მოქალაქეობის შესახებ;

2. კანონი მოქალაქეთა უფლებრივი და პოლიტიკური გარანტიების შესახებ;

3. კანონი ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ-სამართლებრივი გარანტიების შესახებ;

4. კანონი იმიგრაციის შესახებ.

5. კანონი სინდისის თავისუფლების შესახებ;

6. კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ;

7. კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ;

8. კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.

ათწლეულების მანძილზე უაღრესად დეფორმირებულმა ცხოვრების საბჭოურმა წესმა საქართველოში დაამკვიდრა ისეთი სოციალური ურთიერთობანი, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ცხოვრების პატიოსანი წესის დაცვა ფაქტიურად გმირობას უდრიდა, აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია დაყენებულ იქნას იმ პირთა საზოგადოებრივ მორალური თუ იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში იძულებულნი იყვნენ ზნეობრივ კომპრომისზე წასულიყვნენ. ხშირ შემთხვევაში თვით სისხლის სამართლის დანაშაულებანიც კი გამოწვეული იყო ტოტალიტარული სისტემის მიერ შექმნილი ცხოვრების არაადამიანური პირობებით. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ უნდა განიხილოს ფართო მასშტაბის ამნისტიის გატარებისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი; გამოაცხადოს საყოველთაო ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა.

### 5. სამოკავშირეო ხელშეკრულება

მიგვაჩნია, რომ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, სამართლიანი სახელმწიფოებრივი სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ თანასწორუფლებიან, დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის. ამდენად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად საქართველოს აღიარებამდე დაუშვებლად მიგვაჩნია სახელმწიფოებრივი სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხის დასმაც კი ნებისმიერ ქვეყანასთან, მათ შორის სსრკ-სთან, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს გარდამავალ პერიოდში, გარკვეული ვადით, სხვადასხვა სამთავრობო ეკონომიკურ-კულტურული შეთანხმების გაფორმებას. ვთვლით, რომ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება თავისუფალი საქართველოს ეროვნული პარლამენტის პრეროგატივაა, რომელიც არჩეულ იქნება გარდამავალი პერიოდის დამთავრებისთანავე.

### 6. საბჭოთა იმპერიული საელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა

საბჭოთა იმპერიული სტრუქტურების ცენტრალიზაციამ, მმართველობით-ადმინისტრაციულმა სისტემამ საქართველოს მოუტანა სახელმწიფო სტრუქტურების შემადგენელი ყველა ელემენტის ფაქტიური მოშლა, რამაც თავის მხრივ, წარმოშვა ფარული ეკონომიკური მექანიზმი: გაბატონდა მაფია, კორუფციამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო. უაღრესად დაეცა პროფესიონალიზმი — არაეფექტიანი გახდა შრომა. საქართველო ფაქტიურად ეკოხმიკური, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

დღევანდელ ვითარებაში ფაქტობრივად დაუცველია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს ძეგლთა დაცვის სისტემა და სამუზეუმო საქმე. ამდენად შესაცვლელია როგორც კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოდ კულტურისა და, კერძოდ, ძეგლთა დაცვის სფეროში, ისე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრაქტიკა.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებლად მიგვაჩნია არსებული სახელმწიფოებრივი სისტემისა და მისი შემადგენელი სტრუქტურების თანდათანობითი დემონტაჟი და მათ ნაცვლად ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ ამ მიმართულებით უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დეიდეოლოგიზაცია;

2. დადგენილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა სრული გამიჯვნის შესახებ;

3. კანონი სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ;

4. კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

5. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმების შესახებ (მუნიციპალური არჩევნების ჩატარების გზით);

6. დადგენილება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების შექმნის შესახებ;

7. დადგენილება ეროვნული პოლიციის შექმნის შესახებ;

8. განათლების სისტემის რეფორმა;

9. ეკონომიკური რეფორმა; თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, საკუთრების ყველა ფორმის დაკანონება;

10. კანონი ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ.

საქართველომ და მისმა ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ, როგორც ერის ნების ერთადერთმა ჭეშმარიტმა გამომხატველმა ოფიციალურმა ორგანომ, უნდა იმოქმედოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა კატეგორიებიდან გამომდინარემ. ეს ღირებულებანი თავის მხრივ მხოლოდ უმაღლესი ჭეშმარიტების რელიგიურ პრინციპებს შეიძლება ემყარებოდნენ. ხელოვნება უნდა ქმნიდეს ამ ჭეშმარიტებათა ურთიერთგაზიარების საყოველთაო ატმოსფეროს და ისინი ადამიანთა ცნობიერებაში საკაცობრიო მეცნიერული მიღწევებით უნდა იქნენ გამაგრებულნი.

სწორედ ამ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა რანგს განეკუთვნება ქართველი ერის უმთავრესი მიზანი — საქართველოს დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება — ჩვენს სამშობლოში თავისუფლების, საყოველთაო კეთილდღეობისა და სამართლიანობის დამკვიდრება, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელია მიღწეულ იქნას ლოკალურად ერთ ქვეყანაში. საყოველთაო თავისუფლება და სამართლიანობა ღვთის შეწევნით მთელმა კაცობრიობამ ერთიანი ძალისხმევით უნდა დაამკვიდროს დედამიწაზე.

უახლოეს მომავალში კაცობრიობამ თავისუფალ ერთა ჰარმონიული თანამეგობრობის სახით ცივილიზაციის თვისობრივად ახალ ეპოქაში უნდა შეაბიჯოს. მათ შორის უნდა იყოს სრული სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველი ერიც. ამ მიმართულებით კი, უახლოესი და ალბათ ურთულესი შემდგომი ნაბიჯები საქართველომ სწორედ 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მოქმედების პერიოდში უნდა გადადგას.

**ღმერთი იყოს საქართველოსა და ქართველი ერის მფარველი!**

**მოსკოვი.** კრასნაია პრესნიაზე გამართულ საგამოფენო კომპლექსში მიმდინარეობს სასოფლო მანქანების, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების გამოფენა „სელხოზტექნიკა—90“, რომელშიც 25 ქვეყნის 500 ფირმა, საწარმო და ორგანიზაცია მონაწილეობს.

**სურათზე:** საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე. წინა პლანზე ჩეხოსლოვაკიის წარმოების სათიბი მანქანა.

**ვ. საზინოვის ფოტო**

**(საკდესის ფოტოქრონიკა)**

# ევგენია (ჟენია) გელოვანი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ევგენია (ჟენია) ასლანის ასული გელოვანი-გაბიანი.

დაიბადა 1903 წელს ლეჩხუმის მაზრის სოფელ სპათაგორში. დაამთავრა ქუთაისის ქალთა მეორე გიმნაზია და 1920 წელს მუშაობა დაიწყო ლაილაშის პირველდაწყებით სასწავლებელში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1923 წლიდან გადაიყვანეს ცაგერის 9-წლიან შრომის სკოლაში მასწავლებლად. აღნიშნული სკოლის პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთების შემდეგ მუშაობს ამავე ტექნიკუმში, მერე ისევ ცაგერის საშუალო სკოლაში და აქ მასწავლებლობს პენსიაში გასვლამდე, 1966 წლამდე.

ასეულმა თაობებმა გამოიარა ჟენია გელოვანის ხელში, ისინი მისგან სწავლობდნენ ზნეობის, ცხოვრების გაკვეთილებს. თვით ჰარმაგ ასაკში შესული მისი აღზრდილები ცხოვრების რთულ გზაზე ჟენია მასწავლებელს მიმართავდნენ როგორც მეგობარს, მრჩეველს, დამრიგებელს.

ავადმოსაგონარმა რეპრესიებმა დაუმსხვრია ბედნიერი მომავალი, ოჯახი, წაიღო მისი პირადი სიხარული, თუმც სულით არასოდეს დაცემულა, წუწუნიც არ დასცდენია უსამართლობით გათელილი მისი ოჯახის თავმოყვარეობის შელახვაზე, შიშიან, ხელმოკლე ცხოვრებაზე, ცალუღელად გაზარდა წყვილი ბიჭი. სწამდა, ღრმად სწამდა სიმართლე ადრე თუ გვიან თავისას გაიტანდა.

დაუფასდა ღვაწლი ჟენია გელოვანს. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებითა და სიგელებით, არჩეული იყო საქართველოს სსრ მასწავლებელთა პირველი ყრილობის დელეგატად.

1985 წელს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მიენიჭა ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება.

ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის დიდ მოვალეობასთან ერთად იყო საზოგადოებრივ დავალებათა შემსრულებელი.

წლების მანძილზე ხელძღვანელობდა ცაგერის განათლების განყოფილების პედკაბინეტთან არსებული რუსული ენისა და ლიტერატურის სექციას.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პედაგოგი, ლეჩხუმის საამაყო პიროვნება, ქალი, დედა, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა გაკვეთილად გაგვყვება მის კოლეგებსა და აღზრდილებს.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

**რედაქტორი**

**ნ. ნემსაძე.**


## ჭილოცავთ

**მელიტა ღოგჭანიძეს**

**მამუკა სილაგაძეს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.

**ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.**


შვილები ლოლა, ძაძუ, თამარ, ჯუღული, რეზო, რძლები მაყვალა ორჯონიკიძე, ვენერა სვანიძე, სიძეები ბუჭუ სვანიძე, ოთარ ქობულაძე, შვილიშვილები გოგი, ბაჩუკი, ფიქრია, დათო, მამუკა ხვადაგიანები, ამირან, აზა, ნაირა სვანიძეები, ბეჟან, მელიტონ კენჭაძეები, პაატა, ოლეგ ქობულაძეები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლღა ოქროპირის ასული თოთაძე-ხვადაგიანი**

დაკრძალვა 14 ოქტომბერს, კვირას, სოფ. ზოგიშში.

---

ნათელა, რუსუდან, შალვა, თემურ ცვარიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟენია გელოვანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ავტოსატრანსპორტო საწარმოს აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო, ბახვა კოპალიანებს

**გივი ალექსის ძე ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ავტოსატრანსპორტო საწარმოს მეშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ზაურ ვლადიმერის ძე მუშკუდიანს დედის

**ლილი მიხეილის ასული კუხალაშვილი-მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები: ლელა ყურაშვილი, ცაცა ბობოხიძე, საშა კოპალიანი, ცუცა მეშველიანი, დინა გუგავა, რამინ გულბანი, ვახტანგ გუგავა, შოთა გოგიძე, შალვა თუთისანი თანაუგრძნობენ კუკური გაბიანს დედის

**ჟენია გელოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ზაური, ზურაბი, შვილიშვილები ლალი, ლია, ვლადიმერი, როსტომ, ზაზა, ზაალ, ინეზა მუშკუდიანები, რძალი ლეილა გულბანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლილი მიხეილის ასული კუხალაშვილი-მუშკუდიანი.**

დაკრძალვა 16 ოქტომბერს, სამშაბათს, სოფ. ოყურეშში.

---

მერი ბრეგვაძე, მურთაზ კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ალექსის ძე ბურჯალიანი**

---

რამინ გულბანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ლილი მიხეილის ასული კუხალაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ზურაბ, მამია დაშნიანები, დათო კაჭკაჭაშვილი, ოთარ ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟენია ასლანის ასული გაბიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები: კობა, კახა სვანიძეები, ფიქრია შკუბულიანი, მარიკა გოლეთიანი, მარიკა მუკბანიანი თანაუგრძნობენ პედაგოგ ჟენია ბობოხიძეს მეუღლის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ლენა სვანიძე, ამირან ონიანი, ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები, სოგრატ ბენდელიანი, ჯოკია ირემაძე, ჯანსუღ ჩორგოლიანი, ქორა აბელედიანი იუწყებიან

**ჟენია გელოვანი-გაბიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის საშუალო სკოლის XI-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა ხუბუკელაშვილი თანაუგრძნობენ ლაშა ბურჯალიანს მამის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის IX-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ეუჟენა ჯიქია თანაუგრძნობენ ლელა ბურჯალიანს მამის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამუკა ბურჯალიანს ბიძის

**გივი ალექსის ძე ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ონერი ნემსწვერიძე, მევლუდ ირემაძე, სოსო გასვიანი, ლილი გურგუჩიანი, თემურ სილაგაძე, იური ჩხეტიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ალექსის ძე ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ამირან, ომარ ფუტკარაძეები, ბონდო თუთისანი, ოლეგ ცხვედიანი, ტარზან მეშველიანი, ავთო კოპალიანი, გოგი ჩარკვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნორა და ავთო თუთისანებს ძმისა და ცოლისძმის

**რომან მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ქორა, დავით კოპალიანები, ლერი იმნაძე თანაუგრძნობენ იზო და ბახვა კოპალიანებს სიძის და ქვისლის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გურგენ აბელედიანი, არჩილ სიბა შვილი, სოსო კუხალაშვილი, ზური ოდოისანი, კარლო თოთაძე, მარიკა სილაგაძე, რობერტ გოდოლაძე, რეზო სივსივა, დეშურ კოპალიანი, პაატა დოლაბერიძე, ვენერა ჩარკვიანი, მთვარისა ხმელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ალექსის ძე ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ელიშუქ აბელედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ოლია ანტონის ასული აბელედიანი-ყურაშვილი**

მეზობლები ლეო აბელედიანი, ზურაბ ხვისტანი, კაპიტო ჩიქოვანი, აბესალომ ცხვედიანი, ნუგზარ სდინაძე, ბიჭიკო მურცხვალაძე, ბეჟან ტვილდიანი, ჯემალ ახვლედიანი, მიშა უჩაძე, ვალიკო გოლეთიანი, რომან ყურაშვილი, გივი ხმელიძე, მურთაზ ბერიძე, ჯემალ მეშველიანი, ბესო ქომეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თინა ბობოხიძეს სიძის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გენადი სილაგაძე, ჯოკია შკუბულიანი, თემურ შკუბულიანი, მერაბ ჩაკვეტაძე, იური ჩაკვეტაძე, პავლე მეიფარიანი, ზაური ხაბულიანი, ტუღუ ხაბულიანი, გერონტი სილაგაძე, ზაურ, თემურ ბენდელიანები, კოლია ჩაკვეტაძე იუწყებიან

**ჟენია ასლანის ასულ გელოვანის**

გარდაცვალებას.

---

კარლო, შალვა კვირკაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეზობლები შოთა, რაინდი, ნუგზარ, კახა, რეზო, ბუხია ბურჯალიანები, ამურ ნემსწვერიძე, ჯემალ ონიანი, ჭუჭულა, ტუხუ გურგუჩიანები, ინდიკო, შაქრო გვიშიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ალექსის ძე ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის IX კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი, აღმზრდელი ნუნუ დევდარიანი თანაუგრძნობენ ლელა ბურჯალიანს მამის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლელა და ლაშა ბურჯალიანებს მამის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ლალი ბურჯალიანს ძმის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სოსო გუგავა ოჯახით თანაუგრძნობს ჟენია ბობოხიძეს მეუღლის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გიური ბერუჩაშვილი, სულიკო ყურაშვილი, გოგი ასათიანი, ციური გაბიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ალექსის ძე ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

განათლების განყოფილების მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

**ევგენია (ჟენია) ასლანის ასული გელოვანი-გაბიანი.**

---

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლევან ბურჯალიანს ბიძის

**გივი ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

აღვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის, კლუბ-ბიბლიოთეკის, საექიმო უბნის, კავშირგაბმულობის განყოფილების, სავაჭრო ქსელის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქორა ყურაშვილს დედის

**ოლია ანტონის ასული აბელედიანი-ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ ომანაძე, ჯონი მეგრელი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვასილ გვიშიანი, კაპიტო, გივი, ქორა მინდაძეები, მიშა, გრიგოლ ბურჯალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ბურჯალიანი**

---

ლედი ჩხეტიანი, გივი კვირკაშვილი, ჯემალ კოპალიანი თანაუგრძნობენ ავთო, მურთაზ, ბორის ჩხეტიანებს მამიდაშვილის

**მამუკა სულწაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლეილა გულბანს დედამთილის

**ლილი კუხალაშვილის**

გარდაცვალების გამო.


ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ! ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.